



**ორშაბათი 28 სექტემბერი**  
**შესავალი, იოჰან ვან დერ კიოკენი, ჰიტო შტიერლი, ალექსანდრა კლუბე და რინეარ ვერნერ ფასბინდერი**

- 11.00-11.30 შესავალი
- 11.30-12.30 *ერთი რეჟისორის არდადეგები* – იოჰან ვან დერ კიოკენი, ჰოლ., 1974, 39'
- 12.30-14.00 *ნოემბერი* – ჰიტო შტიერლი, გერმ., 2004, 32'
- 14.00-14.45 შესვენება
- 14.45-17.00 *გერმანია შემოდგომაზე* – კოლექტიური ფილმი: ალექსანდრა კლუბე, რინეარ ვერნერ ფასბინდერი, ფოლკერ შლონდორფი და სხვა, გერმ., 1977 / 78, 134' (60' ნაწყვეტი).

**სამშაბათი 29 სექტემბერი**  
**კრის მარკერი**

- 11.00-14.00 *უმზეოდ* – კრის მარკერი, საფრ., 1982, 104'
- 14.00-14.45 შესვენება
- 14.45-17.00 *ცის სიღრმე წითელია* – კრის მარკერი, საფრ., 1977 / 2008, 180' (60' ნაწყვეტი).
- 17.00-18.00 *ასაფრენი ზოლი* – კრის მარკერი, საფრ., 1962, 29'

**ოთხშაბათი 30 სექტემბერი**  
**ჰარუნ ფაროკი**

- 11.00-14.00 *სამყაროს ხატები და ომის წარწერა* – ჰარუნ ფაროკი, გერმ., 1988, 75'
- 14.00-14.45 შესვენება
- 14.45-15.30 *გადავადება* – ჰარუნ ფაროკი, გერმ., 2007, 37'
- 15.30-17.00 *ვიდეოგრამა ერთი რეჟოლუციის* – ჰარუნ ფაროკი / ანდრეი უჟიცა, გერმ., 1992, 107' (20' ნაწყვეტი).

**ხუთშაბათი 1 ოქტომბერი**  
**ჟან-ლიუკ გოდარი**

- 11.00-12.00 *ვიეტნამიდან შორს* – კოლექტიური ფილმი: ჟან-ლიუკ გოდარი, კრის მარკერი, ანიეს ვარდა და სხვა, საფრ., 1967, 112' (15' ნაწყვეტი).
- 12.00-14.00 *ჟან-ლიუკ გოდარი ჟან-ლიუკ გოდარის მიერ - დეკემბრის ავტოპორტრეტი* – ჟან-ლიუკ გოდარი, საფრ., 1994, 53'

- 14.00-14.45 შესვენება
- 14.45-15.30 *წერილი ჯეინს* – ჟან-ლიუკ გოდარი / ჟან-პიერ გორენი, აშშ. / საფრ., 1972, 52' (20' ნაწყვეტი).
- 15.30-17.00 *წერილი ფრედი ბუაშს* – ჟან-ლიუკ გოდარი, ჩეხ. / საფრ., 1981 / 82, 12'

**პარასკევი 2 ოქტომბერი**  
**ანიეს ვარდა, მარგერიტ დიურასი**

- 11.00-14.00 *მოსავლის ნარჩენების შემგროვებლები* – ანიეს ვარდა, საფრ., 2000, 79'
- 14.00-14.45 შესვენება
- 14.45-16.00 *კესარია* – მარგერიტ დიურასი, საფრ., 1979, 10' *ნეგატიური ხელები* – მარგერიტ დიურასი, საფრ., 1979, 16'
- 16.00-16.30 შემაჯამებელი დისკუსია

»ჩვენი ამოცანაა არა პოლიტიკური ფილმების კეთება, არამედ ფილმების პოლიტიკურად კეთება« (ჟან-ლიუკ გოდარი, 1960-იანი წლები) – ამ საპროგრამო განსაზღვრებამ ცენტრალური ევროპა მიიყვანა დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ჟანრის, »ესეი ფილმის«, აღორძინებასთან. 1968 წლისათვის ევროპელმა კინემატოგრაფისტებმა კინომედიუმი გამოიყენეს იმდროინდელი საზოგადოების ავტორიტარული მოდელების კრიტიკის ინსტრუმენტად.

საქართველოში ფილმის ეს კატეგორია, სამწუხაროდ, თითქმის უცნობია. დღესდღეობით კრიტიკული ესეი ფილმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოში ისეთივე აქტუალური შეიძლება გახდეს, როგორც ეს 1950-1980-იანი წლების დასავლეთ ევროპაში იყო.

თანამედროვე პოლიტიკური ესეი ფილმის სტრატეგია და მექანიზმები განახლდა – 1960-იანი წლების კინოავტორის არგუმენტაცია კომპილაციური მონტაჟით გამოიხატება; დიდაქტიკური თხრობა დღეს ფილმის დრამატურგიით შეიცვალა, კინოესეისტის არტიკულაცია კი მონტაჟით; ფილმის პოლიტიკური სათქმელი არა მხოლოდ მისი შინაარსით, არამედ ფილმის ესთეტიკითაც განისაზღვრება.

სემინარზე განიხილება ისეთი კინოესეისტების შემოქმედება, როგორებიც არიან – კრის მარკერი, ჰარუნ ფაროკი, ჟან-ლიუკ გოდარი, ჰიტო შტიერლი, მარგერიტ დიურასი, ანიეს ვარდა, ალექსანდრა კლუბე და სხვანი.

ამ კინოსემინარისათვის საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა. ქართულ ენაზე გამოსცემს კრის მარკერის, თომას ტოდეს და ჰარუნ ფაროკის კინოკრიტიკული ნარკვევების კრებულს »პოლიტიკური ესეი ფილმი«.

სემინარზე სრული მონაწილეობის შემთხვევაში გოეთეს ინსტიტუტის მიერ გაიცემა რეფერენტის მიერ დამონმზებული სერტიფიკატი.

სემინარზე და კინოჩვენებებზე დასწრება თავისუფალია.